

## თემა 27

### კვირის დღეები

Дни недели

#### შინაარსი/ამოცანები:

- მოსწავლეები ისაუბრებენ კვირის დღეებზე და იმ აქტივობებზე, რომლებსაც მთელი კვირის განმავლობაში აკეთებენ
- გაიმდიდრებენ ლექსიკას თემაზე და აღწერენ თავიანთ ყოველკვირეულ აქტივობებს *სიხშირის აღმნიშვნელი ზმნიწოდების* გამოყენებით.

#### გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა:

1. მასწავლებელი იწყებს ნასწავლი მასალის გამეორებით (ამინდი). ამისათვის იყენებს აქტივობას - ამინდის კალენდარი“:

2. **ამინდის კალენდარი:** დაკვიდრეთ კედელზე ამინდის კალენდრისთვის გამზადებული ფურცელი ბავშვებთან ერთად გავერკვეთ, როგორ უნდა ვიმუშაოთ და აღვნიშნოთ ამ კალენდარზე იმდღევანდელი ამინდი (იხ,რესურსები)

3. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს:

#### ამბავი:

ნიკა, ლიზა, თომა და სალი პარასკევ დღეს სკოლიდან სახლში ბრუნდებიან. ისინი მოუთმენლად ელოდებიან შაბათ-კვირას, როცა გაკვეთილები არ ექნებათ. ისინი ყოველკვირეული აქტივობების შესახებ საუბრობენ.

4. მასწავლებელი „ამინდის კალენდრის“ გამოყენებით, იწყებს კვირის დღეების სწავლებას.

5. იწყებს კითხვით: „რა დღეებში ხართ, ბავშვებო სახლში“ სავარაუდოდ, ბავშვები გასცემენ სწორ პასუხს (მასწავლებელი ქართულად თარგმნის, თუ მათ არ იციან შაბათ-კვირის ქართული სახელები).

6. გახსენება: რიცხვითი სახელები (1,2,3,4,5...). ყურადღების გამახვილება დღის სახელების წარმოებაზე: ორ+შაბათი, სამ+შაბათი, ოთხ+შაბათი, ხუთ+შაბათი,.

#### ლექსიკა:

ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა, დღეს, ხვალ, ჩვეულებრივ, ზოგჯერ, არასდროს, ფრენბურთის თამაში, ფეხბურთის თამაში, პიკნიკის მოწყობა.
---

## საკვანძო წინადადებები/გრამატიკა

- დღეს პარასკევია
- ხვალ შაბათია
- სკოლაში კვირაში ხუთი დღე დავდივართ
- სალი, რას აკეთებ ხოლმე შაბათ-კვირა?
- ჩვეულებრივ სახლში ვარ ხოლმე და ტელევიზორს ვუყურებ
- ჩვენ ზოგჯერ პარკში ფრენბურთს ვთამაშობთ
- ჩვენ არასდროს ვაწყობთ პიკნიკს

### *სიხშირის აღმნიშვნელი ზმნიზედები:*

- ჩვენ ჩვეულებრივ/როგორც წესი პიკნიკს ვაწყობთ ხოლმე პარკში
- ჩვენ ზოგჯერ ფრენბურთს ვთამაშობთ
- ჩვენ არასდროს ვაწყობთ პიკნიკს.

რესურსი:

კვირის ლამაზად გაფორმებული ცხრილი სხვადასხვა სიუჟეტური სურათით.

ნახატები თამაშისთვის.